საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 768 2020 წლის 6 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით წინასწარი თანხმობის მიცემის თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №650 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიეცეს წინასწარი თანხმობა, 2 965 162 (ორი მილიონ ცხრაას სამოცდახუთი ათას ას სამოცდაორი) ლარის ღირებულების სამედიცინო მომსახურებების (CPV – 63100000 – ტვირთის გადაზიდვისა და შენახვის მომსახურებები და CPV – 85100000 – ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები) შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო

შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა“ სახელმწიფო პროგრამებით გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში (პროგრამული კოდები: 27 03 03 02; 27 03 02 08; 27 03 02 09; 27 03 03 01; 27 03 03 03; 27 03 03 06).

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**